გეომედი ლაიფი Geomedi Life

№14 (15) 2024 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

ინდოეთის კადის უნივერსიტეტის სტუმრობა უნივერსიტეტ გეომედში

გლობალური ჯანდაცვის მართვის მენეჯმენტის კურსის ფარგლებში 12 ივნისიდან 30 ივნისამდე უნივერსიტეტი გეომედი მასპინძლობდა კადის უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლებს და სტუდენტებს.

გლობალური ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის ფარგლებში ორი კვირა დაეთმო ცოდნის, გამოცდილების მიღებასა და გაზიარებას, ლექციების სერიას, სემინარებსა და დებატებს სხვადასხვა თემაზე, როგორიცა მაგ.: გლობალური ჯანდაცვის მენეჯმენტის შესავალი, პერსონალური ბრენდის და პროფესიული ზრდის მენეჯმენტი და ა.შ. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ უნივერსიტეტი, საუნივერსიტეტო კლინიკები და ლაბორატორიები, მოეწყო ქალაქის ტური.

სემინარულ მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებიც, რომლებმაც წარმოადგინეს პრეზენტაციები. სიმულაციურ კლინიკასა და ანატომიის ლაბორატორიებში ჩატარდა ვორქშოპები.

ვიზიტის ბოლოს გაიმართა დაჯილდოებისა და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია. უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა მემორანდუმი მომავალი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ერთობლივ კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროგრამებს.

ვფიქრობთ, საინტერესო და ნაყოფიერი იყო ეს ვიზიტი, რადგან გზა გაეხსნა ახალ შესაძლებლობებსა და სამომავლო თანამშრომლობას.

ტრადიციისამებრ, 14 ივნისს უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს, როგორც უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა, ასევე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. თითოეული გამომსვლელის შემდეგ, განხილული თემის გარშემო გაიმართა დისკუსია. კონფერენციის ბოლოს ჟიურიმ შეაფასა და გამოავლინა საუკეთესო მომხსენებლები:

I ადგილი – ქეთევან ჭიღლაძე, ია ხუფაცარია (უნივერსიტეტი გეომედი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი: მარიამ კალანდაძე)

II ადგილი – Vebulu Lohe (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი ვალენტინა მიტტოვა)

III ადგილი – ემილი ალიევი (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი მაია სვანიძე)

ჟიურის სიმპათია – ანა ვარდანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი)

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით, კომფერენციაში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცა სერტიფიკატი. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები დაიბეჭდა სტუდენტების ნაშრომთა კრებულში ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“.

დადგა ზაფხული და დაიწყო აქტიური სტუდენტური ცხოვრება. უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზებით და ადმინისტრაციის მხარდაჭერით 9 ივნისს სტუდენტები ეწვივნენ ყაზბეგს. ექსკურსიის ფარგლებში სტუდენტებმა მოინახულეს იქ არსებული ისტორიულ კულტურული ძეგლები, დარიალის ხეობა, გუდაურის პანორამა. გაიმართა სხვადასხვა სახის სახალისო და გასართობი აქტივობა.



უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკის ინიციატივით სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდა საინტერესო ვებინარები სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ:

- ✓ How to navigate in Scopus titles. ტრენერი - Kirill Ivanov.
- ✓ How to find relevant literature in Scopus. ტრენერი - Paula Milewska.
- ✓ Discover ScienceDirect Topics. ტრენერი - Paula Milewska.

ვებინარები შეეხებოდა აქტუალურ და საჭირო საკითხებს: რას ნიშნავს ღია წვდომის ჟურნალები, როგორ ხდება სკოპუსში ჟურნალების ინდექსირება და შეწყვეტა, როგორ მოვიძიოთ ჩვენთვის საჭირო მასალა, ბაზებში საფუძვლიანი ძიების გზები და სტრატეგიები და ა.შ.

EBSCO-ს ტრენერმა - ირინა სერჟანმა კი EBSCO-ს მონაცემთა ბაზების ინტერფეისის ცვლილებასთან დაკავშირებით ჩაატარა ონლაინ ვებინარი თემაზე: ''New user interface of the EBSCOhost platform. All you need to know about access and usage scientific medical electronic resources on the updated platform''. ირინა სერჟანმა დამსწრე აუდიტორიას გააცნო ებსკოს ახალი ინტერფეისი.

სტუდენტთა წარმატებები



უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა "სტუდენტური ფესტივალი 2024"-ის ფარგლებში გამართულ ფეინთბოლის ტურნირში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. შეჯიბრება ,,ლისი ლემანსში'' ჩატარდა და მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები:

1) დავით წარაღბაია;
2) ლაშა ფერაძე;
3) დავით სარაჯევი;
4) გვანცა ობოლაშვილი;
5) მარიამ მამიაშვილი;
6) Drishti Hargovindsingh Bhagia.

მასშტაბური ,,სტუდენტური ფესტივალი 2024'' საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით მიმდინარე წელს იმართება, რომელშიც საქართველოს ყველა უნივერსიტეტიდან 25 000-მდე სტუდენტი არის ჩართული.

ფესტივალი მოიცავს უნივერსიტეტებს შორის სპორტული ტურნირების ჩატარებას, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების გამართვას, ინტერმედიას - რაც გულისხმობს საუნივერსიტეტო თეატრებს შორის კონკურსის ჩატარებას, მოხალისეობრივ აქტივობებსა და ა.შ.

ფესტივალის შემაჯამებელი შეხვედრა 27 ივნისს ბიოლი რეზორტში შედგა, სადაც სტუდენტები მედლებითა და თასებით დაჯილდოვნდნენ.

წიგნის პრეზენტაცია



2024 წლის 12 ივნისს უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში შედგა სახელმძღვანელოს ,,სამხედრო-საველე ქირურგია" პრეზენტაცია, რომელიც თარგმნა, გადაამუშავა და დამატებები შეიტანა ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგმა, ზამირ კაპანაძემ.

აღსანიშნავია, რომ ამ შინაარსის სახელმძღვანელო ქართულ სივრცეში არ მოიძიება. მასში განხილულია სამხედრო მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების სამხედრო-საველე ქირურგიის ამოცანები თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების, ფართომასშტაბიანი და ლოკალური ომების შემთხვევაში და მათი შესრულების გზები.

სამხედრო მედიცინის მიმდინარე პროგრესის შესაბამისად წარმოდგენილია მნიშვნელოვანი მასალები თანამედროვე იარაღით მიყენებულ დაზიანებებზე, მათ ობიექტურ შეფასებებზე, ქირურგიული დახმარების ორგანიზების თავისებურებებისა და ,,დაპროგრამებული მრავალსაფეხურიანი ქირურგიული მკურნალობის" ტაქტიკაზე.

წიგნის პრეზენტაციამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

14 ივნისი - სისხლის დონორის მსოფლიო დღე

სისხლის უანგარო დონორის მსოფლიო დღე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2005 წელს დააარსა და იგი ყოველწლიურად 14 ივნისს აღინიშნება.

მისი მიზანია უსაფრთხო სისხლისა და უანგარო, რეგულარული დონორების კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე, მოტივაციის ამაღლება ჯანმრთელ ადამიანებში გახდნენ სისხლის უანგარო დონორები, რადგან უსაფრთხო სისხლის საკმარისი მარაგის არსებობა და ხელმისაწვდომობა შესაძლებელია მხოლოდ დონორების მიერ სისხლის რეგულარული გაღებით. სისხლის უანგარო დონორის მსოფლიო დღე მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური კამპანიების ნაწილია და თემა ყოველწლიურად იცვლება. 2024 წელს 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კამპანიაა: Thank you, blood donors! და მისი მიზანია, დონორებისადმი მადლიერების გამოხატვა.

ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II -ის ქუჩა #4. ტელ: 275-25-20 ვებგვერდი: www.geomedi.edu.ge ელ-ფოსტა: info@geomedi.edu.ge
პასუხისმგებელი პირები: ნათია ბუაძე, ნანა ცერცვაძე